

სოფლის მეურნეობის მინისტრი რეგიონული მედიის ჟურნალისტებს უხვდა

"აუცილებლად მოხდება ჩაის კულტურის რეაბილიტაცია".

მთავრობამ 800 000 ფერმერზე საბაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამით 50 მილიონი ლარი გამოყო



ალიონი. სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია რეგიონული მედიის ჟურნალისტებს თბილისში, სასტუმრო "ზეტსში" 30 იანვარს შეხვდა. შეხვედრაზე მინისტრმა აღნიშნა რომ მედიაში გაშუქების კუთხით თავისი უწყება უმცირესობაში იმყოფება:

„ჩვენ წინა ხელისუფლებიდან 50 მილიონიანი ბიუჯეტი მივიღეთ და ნახევარ მილიარდამდე გავზარდეთ. მოუხედავად იმისა, რომ ცუდ ყურძენსაც კი ვიბარებთ, 44 ათასი ტონა ვაშლი გადავამუშავეთ, გუმინ, 29 იანვარს მცირეხარისა ფერმერთა დახმარების პროგრამა დაგამტკიცეთ, რომლითაც 800 000 ფერმერზე საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით 50 მილიონი ლარი გამოიყო, გაშუქების კუთხით ჩვენ ვართ უმცირესობაში და რიგი მედიიდან დეზინფორმაცია მოდის“- განაცხადა მინისტრმა.

მინისტრის თქმით, ერთი თვის წინ დაასრულეს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მთავრობისგან ელოდება დამტკიცებას. ამ პროექტში დევს არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ სოფლის განვითარების სტრატეგია.

დანელია სასოფლო-სამეურნეო მიწის აღრიცხვის თემასაც შეეხო: „აუცილებლად მოხდება სასოფლო-სამეურნეო მიწების აღრიცხვა-ინვერტარიზაცია და როგორც შერ-

ოვებული ინფორმაციით, ისე თანამგზავრიდან მიღებული ფოტოების მეშვეობით. ჩაის კულტურის განვითარების ღონისძიებებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ "აუცილებლად მოხდება ჩაის კულტურის რეაბილიტაცია".

დანელიამ ყურადღება გაამახვილა ანასეულის სამეცნიერო პოტენციალზე აღნიშნა, რომ ანასეულის სამეცნიერო პოტენციალის – ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და ადამ ბერიდის სახელობის ნიადაგის და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრის ჩართვა, – სოფლის მეურნეობის სტრატეგიულ გეგმაში მნიშვნელოვანია.



კ ა ლ ი ო ნ ი

უბველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .

გ ა ზ ე თ ი გ ა მ ო რ დ ი ს
1931 წ ო ლ ი ს
5 ო ა ნ ო ვ რ ი ბ ა ნ
ქ ო ვ ე ლ კ ვ ი რ მ უ ლ ი გ ა მ ო რ მ ვ ა ბ ა .
№ 5 (10095), 2 თ ე ბ ე რ მ ა ლ ი , 2 0 1 5 წ .
შ ა ს ო 5 0 თ ე მ ო რ ო .

მთისპირელთა უმეტესობას ფულის გადახდას ურჩევნია გაუფილტრავი წყალი დალიოს

ქ მ თ ი ო ლ მ ა მ ა მ



ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები განაგრძობენ ტერიტორიულ ერთეულებში მათ მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის წარდგენას.

27 ნოემბერს სოფელ მთისპირაში მაჟორიტარი დეპუტატის ვლადიმერ ჩველიძის ანგარიში, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ხელისუფლების თავკაცებმა მოისმინეს.

მაჟორიტარი დეპუტატის თქმით, სოფლის ძირითადი პრობლემა ზოგადად მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურაა და ის მზად არის, მთისპირელებს გვერდით დაუდგეს და ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვიტონ ეს პრობლემა ბიუჯეტიდან სოფლის დახმარების პროგრამით გამოყოფილი თანხებით. ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდების დასაქმებასა და სწავლებაზე. მოსახლეობას გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სტუდენტები, რომლის სწავლება მთლიანად ფინანსდება სახელმწიფოსგან, მუნიციპალიტეტიდან დამატებით დაფინანსდება 3000 ლარით, ხოლო სკოლა, რომელიც ამ სტუდენტმა დაამთავრა - 1000 ლარით.

შეხვედრაზე მოსახლეობამ წინა პლანზე წამოსწია ყველაზე მნიშვნელოვანი და ხმაურის საკითხი - მთისპირელთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა სოფელ-

სოლიდური პრემიები მოტივაციების ამაღლებისა თუ „არც არაფერი ხდებასთვის?!“

ალიონი. „ქართული ოცნებამ“, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობისგან“ განსხვავებით, არაერთ საჯარო მოსამსახურეს შეუნარჩუნა სამსახური, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ „აქტივობებში“ განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდნენ. „ქართული ოცნების“ მიერ გატარებული ამ პოზიციის შესახებ საზოგადოებრივი აზრი დღესაც არაერთგვაროვანია. ასეა თუ ისე, საჯარო სამსახურებში არაერთი „გაქოცებული“ „ნაცი“ ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას.



შესაძლოა ეს შესავალი მხოლოდ მცირედით უკავშირდებოდეს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაში პრემიების გაცემის თემას, მაგრამ მაინც განდაკითხვა: რას ნიშნავს თანამშრომლების ფინანსური წახალისება მოტივაციის გაზრდის მიზნით? (!)

მკითხველი, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ ბოლო წლებში გუბერნატორის ადმინისტრაციის აქტივობებს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მუშაობის ფონზე, ნაკლებად გრძობდა საზოგადოება. ამის მაგალითი თუნდაც ჩვენი გაზეთისა და გურიის სამხარეო ადმინისტრაციის ურთიერთობაა, როცა კითხვაზე – რატომ არ გვიკავშირდებოდნენ, როცა რაიმე ღონისძიებებს აწყობდნენ, გვაპასუხობდნენ: „არც არაფერი

ხდება და რა უნდა დაწეროთ“. მოგეხსენებათ, სამხარეო ადმინისტრაციაში მომუშავეებს პედაგოგებისგან, ექიმებისგან და სხვა პროფესიის ადამიანებისაგან განსხვავებით, ანაზღაურება სოლიდური აქვთ. ამიტომ საზოგადოების გაკვირება გამოიწვია 2014 წლის მეორე ნახევარში ყოველთვიური ანაზღაურების ზევით გაცემულმა პრემიებმა.

თუ სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის 2014 წლის 30 ივნისის №142 განკარგულების საფუძველზე, 5-6 ივნისს მომხდარი სტიქიის დროს, გადაჭარბებული დროით მუშაობისთვის, სამშვიდო სამსახურის 12 თანამშრომელზე, სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის მდივანსა და სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის აპარატის მთავარ

სპეციალისტზე საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში, ერთი თვის ხელფასის ოდენობით პრემიის გაცემა ასე თუ ისე მოტივირებულია, ვფიქრობთ, რომ მოტივაციასთან არაფერი აქვს საერთო რწმუნებულ-გუბერნატორის 2014 წლის 26 აგვისტოს №201-ე განკარგულების საფუძველზე, მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ადმინისტრაციის ყველა საჯარო მოსამსახურეზე გაცემულ პრემიას.

კიდევ უფრო გაკვირვებას იწვევს 15 ოქტომბერს, №254-ე განკარგულების საფუძველზე გაცემული კვარტალური პრემია, ერთი ხელფასის ოდენობით მათ მიერ გაწეული მუშაობის წახალისებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით (!). საინტერესოა რის მოტივაცია უნდა გაზრდოდეს სამხარეო ადმინის-

ტრაციის მუშაკებს.

სამხარეო ადმინისტრაციის მუშაკებს არც საახალწლოდ დაწვევებს გული და 26 დეკემბრის №282 განკარგულების საფუძველზე ყველა საჯარო მოსამსახურეზე გაიცა პრემია ერთი თვის ხელფასის ოდენობით, „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით (1 და 2 იანვარი-ახალი წლის სადღესასწაულო დღეები) გათვალისწინებულ უქმე დღეებთან დაკავშირებით.

გაზეთ „ალიონის“ რედაქციას სურდა, დაედგინა ვისზე რა რაოდენობის პრემია გაიცა, მაგრამ სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაცია მხოლოდ ამ ზოგად ინფორმაციით შემოიფარგლა.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრი გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით
- საცალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა:
- ერთი თვით - 2 ლარი,
- სამი თვით - 6 ლარი,
- 6 თვით - 12 ლარი,
- ერთი წლით - 24 ლარი.

მთისპირელთა უმეტესობას უფლის ბაღასდას ურჩევნია გაუფილტრავი წყალი დალიოს

ში არსებული წყალსაცავითა და წყალსადენით. ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თემთა საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა დავით დარჩიამ:

„გთავაზობთ წყლის პრობლემის გადაჭრას წყლის მრიცხველების დამონტაჟებით და სათავე ნაგებობაზე ქლორატორის დაყენებით, რის შემდეგაც თქვენ მიიღებთ სუფთა და გაფილტრულ წყალს“.

მოსახლეობის უმეტესობამ ამ შემოთავაზებაზე უარი განაცხადა, ერთ-ერთმა განაცხადა, რომ ფულის გადახდას ურჩევნია გაუფილტრავი წყალი დალიოს.


მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დასკვნით სიტყვაში აღნიშნა, რომ არსებული ბიუჯეტის

ფარგლებში ძნელია ყველა პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტა:

„ჩვენი ბიუჯეტის ფარგლებში ძნელია ერთობლივად მოგვაროთ ყველა პრობლემა, მაგრამ გაბრძობით, როგორც შეგვეძლება, დაგეხმარებით. მალე მოგვარდება ელექტროენერგიაზე ინდივიდუალური გამრიცხველიანების პრობლემა, დაიწყება გზის რეაბილიტაციაც. წყალთან დაკავშირებით კი, რაზან ასეა, თვითონ გადაწყვიტეთ რა და როგორ იქნება უკეთესი სოფლისთვის, ჩვენც შეძლებისდაგვარად გვერდით დაგიდგებით“.

სხდომის დასასრულს სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვლადიმერ ჩაველიშვილმა აღნიშნა, რომ მოსახლეობასთან ასეთი ერთობლივი, საქმიანი შეხვედრები ხშირად გაიმართება.

კონჭკათის გზის 1,8 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა დასრულდა



ალიონი. მერია-გოგორეთი-კონჭკათის გზის 1,8 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა, ისევე როგორც თხინვალი-ნატანების დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, შარშან საგზაო დეპარტამენტის მიერ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ „მშენგროპმა“ დაიწყო, მაგრამ მშენებლობას ვერ გაართვა თავი და ოქტომბერში იგი შპს „ჯ-ლაინმა“ ჩაანაცვლა.

როგორც „ჯ-ლაინის“ მთავარმა ინჟინერმა მურთაზ მურენიშვილმა გვითხრა, მათ ოქტომბრის ბოლოს ჩაიბარეს ორივე ობიექტი და მოკლე დროში დაასრულეს გზის მოასფალტება.

მურთაზ მურენიშვილი აღნიშნავს, რომ მათი კომპანია ძირითადად ასფალტის დაგებას აწარმოებს, მათ ბიტუმი „ბლექსი გრუპის“ ოზურგეთის ასფალტის ქარხანაში შეიტანეს და სამუშაოები ხარისხიანად შეასრულეს. მხოლოდ გზის დასაწყისს სამუშაოებია შესასრულებელი, რომელსაც უახლოეს დღეებში დაიწყებენ.

გაზეთი „ალიონი“ დაინტერესდა, რას უპირებენ მშენებლები გზის დამეწვრილ მონაკვეთებს.

მურთაზ მურენიშვილის თქმით, ასეთ მონაკვეთებზე მოეწყო გაბიონები და დაიყარა შესაბამისი რაოდენობის ბალასტი. ასეთ მონაკვეთებზე ასფალტი არ დაიგება და პერიოდულად იგი ბალასტით შეიცვება.

მერია-კონჭკათის გზა, სოფლის ცენტრამდე სულ 5,2 კილომეტრია. როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ გვითხრა, უკვე გამოცხადებულია ტენდერი და ამ გზის მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული კომპანია წელსვე შეასრულებს.

მგლები მთისპირელების მსგავსად კონჭკათელებსაც აწუხებთ

ალიონი სოფ. მთისპირში მგლები კვლავ ანადგურებენ მოსახლეობის პირუტყვს. მთისპირელი ომარ ნიკოლაიშვილის მოზვერს გზაზე დაესხა თავს ნადირი, ხოლო სოსო ჩხაიძეს ეზოში გაშვებული მოზვერი შეუჭამა.

მგლები მუნიციპალიტეტის დასავლეთი ზონის სოფლებსაც აწუხებთ. სოფელ კონჭკათის სუსკურას უბანში მცხოვრები ზურაბ ჩოგაძე გაზეთ „ალიონთან“ ამბობს, მგლები სოფლის განაპირა უბნის მოსახლეობას აწუხებს, ესმის თავს შინაურ პირუ-



ტყვს. სოფელი ხელისუფლებიდან დახმარებას ითხოვს.

აღვიწიების ხელისუფლების პოლიტიკა, მუნიციპალიტეტი განვითარდეს, მაღალი უფლებითაც დადასტურდება



ალიონი. გრძელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატების ანგარიშების მოსმენა 2014 წლის 2 აგვისტოდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ. გასულ ხუთშაბათს საკრებულოს დეპუტატებმა და საზოგადოების ერთმა ნაწილმა მოისმინა „ქართული ოცნებიდან“ პროპორციული წესით არჩეული საკრებულოს წევრის ინგა ღუმბაძის ანგარიში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ინგა ღუმბაძე ამომრჩევლის წინაშე გაწეული საქმიანობის შესახებ, ვრცელი ანგარიშით წარსდგა.

შეხვედრაზე, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე, რიგითი დეპუტატები და მოქალაქეები ესწრებოდნენ, დეპუტატმა ისაუბრა, როგორც მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან განვლილ სამუშაო პერიოდზე, ასევე სამომავლო გეგმებსა და რეკომენდაციებზე.

ბაღდადში დახიანებული წყლის სისტემის 2-კილომეტრიანი მონაკვეთის აღდგენა, ასევე 2015 წელს ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობა, ეს ის საკითხებია, რომელიც სოფელ ცხემლისხიდის მაჟორიტარი დეპუტატის ძალისხმევითა და მასთან ერთობლივი მუშაობით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ დადებითად უკვე

გადაწყვიტა. საკრებულოს წევრმა ასევე ყურადღება გაამახვილა, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, მისი შუამდგომლობით დაკმაყოფილებულ რამდენიმე განცხადებაზე, რომლის საფუძველზეც მოქალაქეებს გადაეცათ სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლის სახურავისთვის საჭირო მასალა.

ტრენინგები ბაგა-ბაღის აღმშენებლებს, მნიშვნელოვანი პროექტი „მწერლები წიგნიერების სადარაჯოზე“, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში განხორციელდება და საჯარო სკოლებსა თუ ბიბლიოთეკებში თანამედროვე მწერლების, ხელოვნების მობილური ჯგუფების შემოსვლას გულისხმობს, ინგა ღუმბაძის ანგარიშში ვრცლად იყო განხილული.

დასასრულს, დეპუტატმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით, მუნიციპალიტეტი განვითარდეს, მალე შედეგითაც დადასტურდება და ამას თითოეული ჩვენი მოქალაქე საკუთარ თავზე იგრძნობს.

ამავე დღეს, სოფელ ცხემლისხიდის მაჟორიტარი დეპუტატის ლალის სიჭინავას მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ ინფორმაციას გაზეთის შემდეგ ნომერში შემოვთავაზებთ.

ცენტრი – ოზურგეთში, ფილიალი – თბილისში

მსგავსი სათაურით წერილები ხშირად იბეჭდება რუბრიკით „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა“, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაუჯერებელი არაფერია.

საქმე ისაა, რომ ოზურგეთში წლების განმავლობაში წარმატებით მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა“ (აპკ) ფრთები ისე გაშალა, რომ თავისი ფილიალი დედაქალაქში გახსნა. მოკლედ, ორგანიზაციის ცენტრი ოზურგეთშია, ფილიალი – თბილისში!

ამის შესახებ „ალიონს“ აპკ-ს თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარინა თოფურიაძემ აცნობა:

„წლების განმავლობაში მიღებულმა ცოდნამ და ორგანიზაციის სერვისებზე გაზრდილმა მოთხოვნამ მიგვცა საშუალება, ჩვენი გამოცდილება და პრაქტიკა განვაყვრეთ არა მარტო სხვა რეგიონებში, არამედ დედაქალაქშიც, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი სტრატეგიული მიზნის მიღწევას, აპკ-ს მიმართულებათა ფართო სპე-

ქტრის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას“, – გვითხრა ქალბატონმა მარინამ.

არის კიდევ ერთი სიახლე: ახლახან, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცა აპკ-ს 2011-2014 წლების ანგარიში, რომელშიც მკითხველი სრულყოფილად გაეცნობა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ბოლოდროინდელ წარმატებებს. ამ პერიოდში ორგანიზაცია გახდა რამდენიმე კოალიციისა და ქსელის წევრი და, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, განახორციელა სხვადასხვა საინტერესო პროექტი.

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მისიაა სამოქალაქო ცნობიერების მქონე საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა საგანმანათლებლო და სოციალურ სფეროებში თანამედროვე სერვისების დაწერვითა და მოქალაქეების ინტერესების დაცვის ქმედითი მექანიზმების საშუალებით.



დაინყეთ ყოველი
ოჩმაბათი აციონზე
«ალიონით»

ბიუროს სხდომა 9 საკითხითა და სამი სალი იუმორით

26 იანვარს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ 9 საკითხი განიხილა. ბიუროს შემრებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ადგილობრივი მედიასაშუალებების ჟურნალისტებმა მოისმინეს საკრებულოს 5 მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეების, ასევე საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ.

მეტი ყურადღება ბიუჯეტს

პირველი სიტყვა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გელა ჩავლეშვილს მიეცა.

როგორც ჩავლეშვილმა თქვა, საანგარიშო პერიოდში, მიკუთვნებული უფლებამოსილების ფარგლებში, კომისიას გამოტანილი აქვს რამდენიმე დასკვნა, მათ შორის, 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატების თაობაზე; 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის აღმასრულებელ ორგანოში დაბრუნების თაობაზე; 2015 წლის შესწორებული ბიუჯეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად დაყენების თაობაზე.

ბიურომ დამაკმაყოფილებლად შეაფასა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2014 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. ბიუროს წევრების აზრით, კომისიამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ბიუჯეტის შესრულების თაობაზე აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახურის მიერ კვარტალური მიმოხილვებისათვის კანონით გათვალისწინებული ანგარიშების მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის რეგულარულად წარდგენას; ასევე რეგულარულად უნდა უზრუნველყოს საკრებულოს სხდომებზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა და ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების წარდგენა და დამტკიცება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში.

განათლებიდან სოციალურ საკითხებამდე

ყველაზე ვრცელი ანგარიშით წარსვლა დამსწრე საზოგადოების წინაშე მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლელა საჯავია.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომისიის საანგარიშო პერიოდში თავისი კომპეტენციის ყველა დარგში გაწეული აქვს მნიშვნელოვანი მუშაობა. რეგულარულად იხილავდა და ამზადებდა დასკვნებს საკრებულოს სხდომაზე ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიის ნორმატიული სამართლებრივი აქტების პროექტებზე და აქტიურად მონაწილეობდა ამ პროექტების შემუშავებაში.

ბიუროს დასკვნით, კომისიას

საანგარიშო პერიოდში გაწეული აქვს მნიშვნელოვანი მუშაობა. იგი რეგულარულად იხილავდა და ამზადებდა დასკვნებს საკრებულოს სხდომაზე ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ნორმატიული სამართლებრივი აქტების პროექტებზე, აქტიურად მონაწილეობდა ამ პროექტების შემუშავებაში. კომისიამ რეგულარულად უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა, შეფასება და კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე წარდგენა.

„გულის სამკურნალო რომ კაცია წასული, იმის საკითხი არ უნდა განიხილო“

სალი იუმორის პირველი ნოტი დაიმსახურა მესამე საკითხმა: საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის ანგარიშმა. ანგარიში კომისიის თავმჯდომარის **შ. ართიშვილის** მოადგილეს **ვ. ნიფარაძეს** უნდა წაეკითხა, მაგრამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დიმიტრი კვერდელიძემ უარი უთხრა: „ვიცი, გავეცანით, გულის სამკურნალო რომ კაცია წასული, იმის საკითხი არ უნდა განიხილო“.

ბიურომ აღნიშნული კომისიის მუშაობაც დადებითად შეაფასა, ამასთან, საჭიროდ მიიჩნია კომისიამ უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირების კონტროლი, ზედამხედველობა გაუწიოს თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის, ადგილობრივი შესყიდვების დაგეგმვისა და ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დადგენას უფლებამოსილების ფარგლებში.

„ყველაზე პატარა კომისიის ყველაზე დიდი თავმჯდომარე“

სამანდატო, საპროცედურო, ოურიდენტული საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიშის მოსმენისას, ბატონ **ეროდი გორდელაძეს** ხუმრობით „ყველაზე პატარა კომისიის ყველაზე დიდი თავმჯდომარე“ უწოდეს. თუმცა, წარმოდგენილმა ანგარიშმა აჩვენა, რომ თავმჯდომარეზე ნაკლები სიდიდის არც გაკეთებული საქმე ყოფილა.

როგორც გორდელაძემ აღნიშნა, კომისიაში შექმნილი ორი სამუშაო

ჯგუფი სამანდატო და საპროცედურო საკითხთა, ასევე საკადრო პოლიტიკისა და ეთიკის სამუშაო ჯგუფები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სამუშაო გეგმის მიხედვით შეიმუშავებდა, განიხილავდა და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებდა საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, ამზადებდა დასკვნებს, მონაწილეობდა მათ განხილვაში. ისმენდა საკრებულოსადმი ანგარიშვალდებულ ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშებს. განიხილავდა თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სამუშაო გეგმას, პრიორიტეტების დოკუმენტის, მუნიციპალური პროგრამების და ბიუჯეტის პროექტებს. აკონტროლებდა საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას. ახორციელებდა კომისიის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ განიხილა 18 საკითხი, სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები წარედგინა საკრებულოს ბიუროს, რამდენიმე საკითხი განხილულ იქნა საკრებულოში, რაც აისახა შესაბამის დადგენილებებში.

კომისიამ, სხვა კომისიებთან და ფრაქციას, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთან ერთად, აქტიურად იღაწა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, რამაც განაპირობა ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის 50 000 ლარით და სამედიცინო მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი სოციალური დახმარების პაკეტის გაზრდა 50 ლარით.

რალა თქმა უნდა, კომისიის მუშაობა დადებითად შეფასდა.

ყველაზე დიდი კომისიის ყველაზე პატარა თავმჯდომარე

იუმორი კოლეგებს არც სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ხელმძღვანელის **ტარიელ არომიძისთვის** დამზარეს, რომელიც „ყველაზე დიდი კომისიის ყველაზე პატარა თავმჯდომარე“ მონათლეს. ჰოდა, მოხდა ისე, რომ ბიუროს სხდომაზე ყველაზე მეტად ამ „პატარა თავმჯდომარის“ ანგარიში მოიწონეს.

კომისიაში შექმნილმა სამივე სამუშაო ჯგუფმა (სივრცით-ტერიტო-



რიული დაგეგმვების, ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო სისტემის განვითარების საკითხთა) სერიოზული მუშაობა გასწია, მათ კომისიაში წარმოადგინეს დასკვნები განსაზღვრული მიმართულებების განვითარების შესახებ.

კომისია განსაკუთრებით აქტიურობდა 2015 წლის ბიუჯეტის მიღების პროცესში. მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაითვალისწინა კომისიის შენიშვნები და ინიციატივები, რაც რეალურად აისახა საბოლოო ბიუჯეტში. საანგარიშო პერიოდში ჩატარა 10 დამოუკიდებელი და 1 ერთობლივი სხდომა. ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიასთან ერთად, სხდომებზე სულ განიხილეს 28 საკითხი.

კომისიამ განსაკუთრებული მუშაობა გასწია მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შემუშავების მიზნით. არ დარჩენილა მუნიციპალიტეტის არც ერთი ადმინისტრაციული ერთეული, სადაც კომისია, გამგეობის შესაბამის სამსახურთან ერთად, არ წასულიყო ადგილზე, მოსახლეობასთან ერთად არ შეგვერებულიყო განსახორციელებელი პროექტი. ერთობლივი მუშაობის შედეგად, განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მრავალწლიანი პერსპექტიული გეგმა-პროექტი.

საუპიუმრო საკრებულოს აპარატი

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ბიუროს სხდომაზე საკრებულოს აპარატის უფროსის, ქალბატონ **ნანა თავლეშვილის** ანგარიშმა. ითქვა, რომ

ასეთი აქტიური საკრებულოს აპარატი არც ერთ წინამორბედ საკრებულოს არ ჰქონია. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავკაცებმა და კომისიის თავმჯდომარეებმა აღიარეს, რომ არა საკრებულოს აპარატის მართლაც მაღალპროფესიული საქმიანობა, ბიუროზე წარმოდგენილი ანგარიშები ასეთი ვერ იქნებოდა. რა თქმა უნდა, მიულოცეს ქალბატონ ნანას და მერე ერთმანეთს.

ხალხთან მეტი კონტაქტი

ბიუროს სხდომაზე შეთანხმდნენ, რომ საკრებულო ხალხთან მეტი კონტაქტი, გასხვლითი სხდომების დანერგვა, მუშა პროცესში უშუალოდ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება, მისი ინფორმირებულობა.

საკრებულოს თავმჯდომარე დიმიტრი კვერდელიძე: „ჩვენ უნდა ვკითხოთ ხალხს, რა სჭირდება, უნდა განვსაზღვროთ სწორი პოლიტიკა, რაც ხალხზე დაყრდნობით განისაზღვრება. ეს ფორმატი, მხედველობაში მაქვს თვეში ერთხელ კომისიების თავმჯდომარეების ანგარიშების მოსმენა, ხაზს უსვამს საკრებულოს უფრო აქტიურ მუშაობას, რომელიც უნდა იყოს ასევე ნაყოფიერი, რათა ხალხის ნდობა გავაძლიეროთ“.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია: „განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ბიუჯეტი არის ჩვენ მიერ დამტკიცებული, პასუხისმგებლობა გვეკისრება, ნაკისრი ვალდებულებები დროულად და სამართლიანად იქნას შესრულებული. ეს არის ჩვენი სამუშაო პრინციპი და პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე.“

თემების მუნიციპალიტეტი სოფლებში უმხვედრებს მართავს



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები თავიანთ დაბებსა და სოფლებში ამომრჩეველებს ანგარიშს აბარებენ, რომელშიც ხშირად გატყეული და საკრებულოს ხელმძღვანელებს მონაწილეობენ.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან მოყოლებული მოწმე ვართ სოფ. კონჭკათში გამართული შეხვედრების და ასეთი შეხვედრები ყოველთვის ხალხმრავლობით გამოირჩევა. ამჯერადც სოფლის მაჟორიტარი დეპუტატის ტარიელ არომიძის ანგარიშმა კონჭკათ-

ელის დაინტერესება გამოიწვია. ტარიელ არომიძე საკრებულოში სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვებსა და ინფრასტრუქტურის კომისიის ხელმძღვანელობს და თანასოფლელებს ამ კომისიის მიერ და ზოგადად ინფრასტრუქტურის კუთხით, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებზე ესაუბრა.

კონჭკათელები კმაყოფილებას გამოთქამენ, რომ წლების განმავლობაში გაწეული მერია-კონჭკათის გზის პრობლემამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გადაწყდა, მაგრამ მათთვის ასევე პრობლემა საუბნო გზების მოწესრიგებლობა, კონკრეტულად კონჭკათი-თხინჯაღის დამაკავშირებელი და ციხისუბნის გზების მდგომარეობა. ასევე დატყეული სახლების პრობლემები.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, რომ სოფ. მერიაში გარემონტდე-

ბა 70-ბინიანი სახლი, რომელიც უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს გადაეცემო. ჭანუყვაძე კონჭკათელებს სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ესაუბრა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ აღნიშნა ამ სოფლის ამომრჩეველების დიდი წვლილია „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში და განაცხადა, რომ არ დაუმეგუნ, ის ძალა, რომელსაც განაჩენი 2012 წლის 1 ოქტომბერს გამოუტანა ხალხმა, დაბრუნდეს ხელისუფლებაში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერდელიძის თქმით არჩევნებით არ იწყება და არჩევნებით არ მთავრდება ამომრჩეველის პასუხისმგებლობა, ისინი ყველა პროცესში უნდა მონაწილეობდნენ და აკონტროლებდნენ ხელისუფლების საქმიანობას.

„ლიბერთი ბანკის“ სერვის-ცენტრი კონჭკათში



ალიონი. ერთი თვეა, სოფელ კონჭკათში „ლიბერთი ბანკის“ სერვის-ცენტრი გაიხსნა. სოფლის მოსახლეობა აქ ყველა იმ სერვისით ისარგებლებენ, რაც მსგავს ობიექტებს გააჩნიათ. მიღებენ პენსიას, სოციალურ დახმარებას, გააკეთებენ გზაწილებას, გადაიხდიან „კრედიტს“, კომუნალურ და სხვა გადასახადებს.

სერვისცენტრში ორი ადგილობრივი კადრი, მოღვაწე-ობერატორები ფიჭია მუჯირი და ია ტულუმი არიან დასაქმებული.

მომაველ შურნალისტს სწავლის საფასური დაუფინანსეს

ალიონი. სამწუხაროდ, დღეობის სოციალური მდგომარეობის გამო, ახალგაზრდების ერთი ნაწილი, სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, ხშირად იძულებით ტოვებს უმაღლეს სასწავლებელს. რამდენიმე დღის წინათ სწორედ ასეთი საშიშროების წინაშე დადგა გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის შურნალისტის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, ოზურგეთელი ნინო ბახტაძე.

თუმცა, მომაველ კოლეგას გასული კვირის სამშაბათს წლებიანდელი სწავლის საფასური დაუფინანსეს.

ამის შესახებ „ალიონს“ ნინოს დედამ ქალბატონმა მარინა მიმინოშვილმა უთხრა:

„სწავლის ფულის შესაგროვებლად, ნინო ქობულეთის ერთ-ერთ კაფეშიც კი მუშაობდა მიმტანად, მეც შეძლებისგვარად დავეხმარე, მაგრამ ეს აღმოჩნდა საკმარისი. იძულებული გავხდი, ქალაქ ოზურგეთის მერიაში მივ-

სულიყავი თხოვნით. მერის მრჩეველმა ქალბატონმა სოფო ჭანტურია ამხსნა, რომ ერთჯერადი დახმარების სახით, 150 ლარის გამოყოფა არ იქნებოდა საკმარისი ნინოს სწავლის საფასურის დასაფარავად. მართალი ვითხრათ, საგონებელში ჩავვარდი... ორი დღის შემდეგ მოულოდნელად თვითონ სოფო დამიკავშირდა, მთხოვა, ნინოს ანგარიშის ნომერი მიმეტანა. როგორც აღმოჩნდა, ის ამ საკითხზე თბილისში „ლუკოილის“ პრეზიდენტს, ბატონ ზაზა ქათამაძეს ესაუბრა, რომელსაც მზადყოფნა გამოუთქვამს თავართქილაძის უნივერსიტეტში, ჩემი შეილის სახელზე 1000 ლარის გადასარიცხად, - გვითხრა მომაველი შურნალისტის დედამ.

ჩვენი მხრივ, ქალბატონ მარინას შევბირდით, რომ ნინო ბახტაძე, საჭიროების შემთხვევაში, საწარმოო პრაქტიკას „ალიონში“ გაივლის.

პროგრამა „მომაველის თაობა“

ალიონი. 2015 წლის 30 იანვარს გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში გაიმართა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომაველის თაობა“, სამიზნე სასკოლო სამოქალაქო კლუბების წევრთა შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე სასკოლო სამოქალაქო კლუბების ლიდერმა მოსწავლეებმა თვითმმართველობის წარმომადგენლებს გააცნეს თავიანთ თემებში მოზარდთა თვალთ დახაზ-

ული პრობლემები, მათი გადაჭრის გზები და თვითმმართველობასთან თანამშრომლობის მათეული ხედვა.

სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომაველის თაობას“ ახორციელებს PH International ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. პროგრამა საქართველოს II რეგიონში მიმდინარეობს. გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორია გურიის რეგიონში.

ზემოსურეპელები ბუკისციხე-დიდი პანი-ზემო სურეპის გზის მოასფალტებას ითხოვენ



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზემოსურეპის მოსახლეობა წლებია დაბასთან დამაკავშირებელი გზის მოწესრიგებას ითხოვენ. ისინი ამ მოთხოვნას წინა ხელისუფლებას უყენებდნენ, მაგრამ არ მოგვარდა.

2005 წელს ზემოსურეპელთა პრობლემების მოსაგვარებლად იბრძოდა იმდროინდელი სოფლის გამგებელი ლეზო კიკაბე მან მამა იონანეს(კიკაბე) და სხვა არაერთი ზემოსურეპელის თანადგომით ტობაჩროში (უბანი ზემო სურეპში), წარმოშობით ზემოსურეპელი, გიორგი ბარამიძე მოიწვიეს...

ზემოსურეპელების პრობლემებზე წერდა ადგილობრივი მედიასაშუალებები. იყო შეპირებები, მაგრამ სურეპელების გასაჭირი დარჩა „ხმად

მლადადებისა უდაბნოსა შინა.“ ხელისუფლების უყურადღებობის შედეგად გაიზარდა დაკეტულ ოჯახთა რაოდენობა სოფლის ხეობაში (დიდი ვანი, შუა სურეპი, ზემო სურეპი). ამჟამად ზემო სურეპში 76 ოჯახი ცხოვრობს.

25 იანვარს, ზემოსურეპელებმა საპროტესტო აქცია ერთდროულად გამართეს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ოზურგეთში, ჩოხატაურში.

ოზურგეთში სამხარეო ადმინისტრაციის წინ ოზურგეთში მცხოვრები ზემოსურეპელები შეიკრიბნენ და სოლოდარობა გამოუცხადეს თანასოფელელებს. ისინი ბუკისციხე-ზემო სურეპის გზის მოასფალტებას ითხოვენ.

მუშაველ ორბანიზაციას ხარვეზების აღმოფხვრა დაეპყრო

26 იანვარს, ქ. ოზურგეთის მერმა და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა ქალაქის №7 საბავშვო ბაღი მოინახულეს.

მერმა აღნიშნულ ბაღში სარემონტო სამუშაოების ჩამატარებელ შპს-ს წარმომადგენლებს დარჩენილი ხარვეზების აღმოფხვრა

დაავალა. სავენტილაციო სისტემის რეაბილიტაცია ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, ანუ 2 თებერვლამდე უნდა დასრულდეს, სხვა სამუშაოები კი ეტაპობრივად გაგრძელდება.

ცნობისათვის ქ. ოზურგეთის №7 საბავშვო ბაღში სარემონტო სამუშაოები 2013 წელს ჩატარდა

ზნეობრივი ნორმების ფარდობითობის საკითხები „ვეფხისტყაოსანში“

გაბრამელვა. დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №3, 2015 წ

ტარიელმა ზრდასრული ნესტანი მაშინ ნახა, როცა ფარსადან მეფემ და ტარიელმა მას მიუტანეს მათი ნანადირევი ღურაჯები. ტარიელს ღურაჯების გადაცემისას გული წაუვიდა და იგი სამეფო კარზე მიყვანის შემდეგ მოვიდა გონს. მომჯობინებულმა ტარიელმა ცხენით გასეირნება ითხოვა. გასეირნების შემდეგ იგი დაბრუნდა თავის სახლში, მაგრამ მთლიანად გამოჯანსაღება ვერ შეძლო. ნესტანმა გაიგო ტარიელის მძიმე მდგომარეობის მიზეზი და გადაწყვიტა დაეკავშირებოდა ტარიელს ისე, რომ მათი სიყვარული არავის გაეგო. ამისთვის მის გამზრდელ მონას – ასმათს მიაწერინა ტარიელისთვის საამიკო უსტარი. ამან ტარიელის გაკვირება გამოიწვია.

მე გამიკვირდა: სით ვუყვარ, ანუ ვით მკადრებს თხრობასა? მიუყოლობა არ ვარგა, დამწამებს უზრახობასა,

ჩემგან იმედს გარდასწყვეტს, მერმე დამიწყებს გმობასა, დავწერე, რაცა პასუხად ჰმარტებდა ამიკობასა“.

ტარიელის მდგომარეობა კვლავ გართულდა. მას მკურნალებმა ჭარბი სისხლის დაგონოზი დაასვეს და მეფის ბრძანებით სისხლი გამოუღეს:

„სისხლი დამწამეს; მეფემან ბრძანა გახსნევა ხელისა;

გავისხენ ფარვად პატიჟთა, არვისგან საეჭველისა“ (სტრ. 362, ტაეპი 3, 4)

ნესტანის დაკვეთით ასმათმა მეორე საამიკო წერილი გამოუგზავნა ტარიელს:

„მონანან წიგნი მომართვა, მე წავიკითხე ნებასა,

წიგნსა შევატყვე, ლამობდა შეყრისა მოსწრაფებას;

პასუხად ვსწერდი: „ჟამია, მართალ ხარ

გაკვირვებასა; მოვალ, თუ გიხმობ, მე ნუ მეჭვ, მოსვლისა დაზარებასა“ (სტრ. 364)

ტარიელთან მეფის გამოგზავნილი კაცი მოვიდა, რომელმაც აცნობა – ფარსადან მეფეს უბრძანებია კვლავ სისხლის გაღება. ტარიელმა აცნობა, რომ სისხლის გაღებით უკეთესობა დაეტყო:

„მე ვკადრე: „ხელი გავისხენ, დამიწყო მოჯობინება;

წინაშე მოვალ, ამისთვის კვლა უფრო მმართებს ღხინება“.

სამეფო კარიდან ტარიელი თავის ტოლებთან ერთად დაბრუნდა და ამხანაგებს გაუმართა ნადიმი:

„ჩემნი სწორნი წავიტანენ, ჩემსა დავეკ, მთქვიან ალვად,

შეკქვენ სმა და ნადიმობა პატიჟთა და ღხინთა მალვად“ (სტრ. 369, ტაეპი 3, 4)

ტარიელს მოლარემ აცნობა – მასტან მოვიდა ჩადრით მოსილი ქალი. ეს იყო ასმათი, რომელმაც ტარიელს გადასცა ნესტანის წერილი:

„წიგნი ვნახე, მისი იყო, ვისი მდაგავს ალი გულსა;

მოეწერა მზისა შუქსა: „ნუ დაიხვე, ლომო, წყლულსა;

მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდები, მაგრა ბნედა ცული მბულსა“ (სტრ. 376, ტაეპი – 1, 2, 3)

მიუხედავად იმისა, რომ ტარიელსა და ნესტანს ერთმანეთი უყვარდათ, ეს სიყვარული საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო, რადგან ათასეული წლების განმავლობაში შეილების ქორწინებას შობლები აკვარებდნენ და შეილების პირად გრძობნებს ანგარიშს არ უწვდნენ. ვერსად გავეცქვეთ ისტორიულ ფაქტს: თამარ მეფეს რუსეთიდან რუსი საქმრო ისე ჩამოუყვანეს, რომ თამარისთვის არც კი

უკითხავთ. დიდებულებმა აიძულეს თამარ მეფე ჯვარი დაეწერა რუს საქმროზე. როგორც ჩანს, თამარ მეფეს მასთან სარეცელი არ გაუზიარებია, რასაც ამტკიცებს ის ფაქტი, რომ თამარ მეფეს მისგან შეილები არ ეყოლა. თამარ მეფემ იგი ძვირფასი საჩუქრებით დააბრუნა რუსეთში.

დავუბრუნდეთ ისევ ნესტანისა და ტარიელის მიჯნურობას. მათ ასე გაასაიდუმლოეს თავიანთი სიყვარული:

„ასმათ მითხრა, მე მიბრძანა, ესე კქნათო, ესე სჯობდეს;

ვინცა გნახოს, ჩემგან მისსა საუბარსა ვერა სცნობდეს;

ჩემდანხვად მოვიდოდეს, ვითამცა შენ გამიკობდეს; (სტრ. 382, ტაეპი – 1, 2, 3).

ტარიელმა სიხარულით მიიღო ეს შეთავაზება და გახარებული დაბრუნდა თავის ტოლებთან:

„ღხინმან ბნელი განმინათლა, დაშტრესცეცხლნი რომე მწვიდეს;

მეფე, დავვე ნადიმადვე, ჩემნი სწორნი სადა სმიდეს.

მხიარულმან საბოძარი გავეც, ზამი გააღიდეს“ (სტრ. 386, ტაეპი - 2, 3, 4)

ამრიგად ზნეობრივი ცნება – სიცრუე გახდა ნესტანისა და ტარიელის დამაკავშირებელი. აქ სიცრუემ დადებითი შედეგი გამოიღო. მამასადამე, სიცრუე ფარდობითი ცნებაა, რადგან მისი ავ-კარგაინობა ფასდება იმით, თუ რა შედეგს მოიტანს ეს ზნეობრივი ცნება.

ახლა ვადავხედოთ საქართველოს ისტორიას. დავით აღმაშენებელმა დიდგორის ომში მტრის მოტყუების რამდენიმე ფანდი გამოიყენა: 1) მტერს დაუხვდა მცირეფართობიან ველზე. არც თუ დიდი ხნის წინათ პრესაში განხდა მოსაზრება – დიდგორის ველზე თურქი სელჯუკების 200-ათასიანი არმია არ დაეტეო-

დაო. სწორედ ამაში იყო დავით აღმაშენებლის სამხედრო ნიჭი: მან ბრძოლის ველად აირჩია ისეთი ადგილი მტრის 200-ათასიან არმიას, რომელიც ოთხჯერ აღმატებოდა ქართულ ჯარს, არ ჰქონოდა გაშლის საშუალება, რამაც ქართულ ჯარს ფრონტის წინა ხაზზე მისცა რიცხობრივი უპირატესობა.

2) დავით აღმაშენებელმა მტერი დიდგორის ვიწრო ხეობაში შემოიტყუა, სადაც თურქების უზარმაზარი არმია შებოჭილი აღმოჩნდა.

3) დავით აღმაშენებელმა უკან დასახვევი გზა ჩახერგა, რათა მტერს ზურგიდან არ დაერტყა. საკუთარ ჯარს კი განუცხადა: უკან დასახვევი გზა დაკეტილია, ან უნდა დაეამარცხოთ მტერი, ან აქვე უნდა დაეიხიციოთო.

4) თურქებმა შეტევის წინ ჯოჯოხეთური ყიფინა ატყეს, ქართველები დუმდნენ, რამაც თურქებს შეუქმნა ილუზია, თითქოს ქართველები შეშინდნენ.

5) დავითმა 200 ყიფინა გაგზავნა თურქებისაკენ, რამაც თურქებს შეუქმნა ილუზია, თითქოს ქართველები ნებდებოდნენ. მაგრამ ყიფინალები მათთან მივიდნენ, ხმლები იმიშვლეს და დაერივნენ თურქებს.

ამან თურქთა მოწინავე ძალებში დიდი არეულობა გამოიწვია. ამ დროს დასცეს ქართველებმა ყიფინა და შეუტყეს თურქებს. ბრძოლა სამ საათს გასტანა. ხეობაში ჩაკეტილმა სელჯუკებმა არ იცოდნენ, რა ხდებოდა ფრონტის წინა ხაზზე და წინ მოიწვიდნენ. ფრონტის წინა ხაზზე მყოფნი კი უკან იხევდნენ. ამან გამოიწვია გაუგონარი უღელტა და მტრის სასტიკი მარცხი.

მან ტანმ ჩხარტიშვილი.

(გაბრამელვა იძნება)

პროექტის დასრულება ახალი იდეები გააჩინა



ოზურგეთის საკრებულოსთან უკვე ერთი წელია მუშაობს გენდერული საკონსულტაციო საბჭო, რომელიც კულტურულ ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმის“ მხარდაჭერით შეიქმნა და ოზურგეთს გარდა, ქუთაისში, ბათუმსა და სენაკში ფუნქციონირებს. ერთი წლის

განმავლობაში ოზურგეთის საბჭომ არაერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაციის შემუშავებასთან ერთად, უკვე მეორე პროექტი წარმატებით განახორციელა. პროექტები ფონდისა და ოზურგეთის ორთავე მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. გასული

წლის სექტემბერში სამაჩაბლოს საზღვართან ოზურგეთი გურული ტრადიციული სამზარეულოთი და გურული სიმღერებით წარსდგა.

მეორე პროექტის „ახალგაზრდები გენდერული პოლიტიკისთვის“ დასრულების პრეზენტაცია პარასკევს, 30 იანვარს ოზურგეთის საკრებულოს დარბაზში გაიმართა. პროექტის ფარგლებში ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრთაგან გადაიზარდა ტრენერები, რომლებმაც ქალაქის ხუთ სკოლაში ჩატარეს ტრენინგები გენდერის, ოჯახური ძალადობის, გენდერის და კულტურის, გენდერისა და სოციალური მედიის საკითხებზე. საბილოტე თითო სკოლიდან ხუთი მონაწილე შეირჩა, რომლებიც გენდერულ საკონსულტაციო საბჭოსთან ერთად გააგრძელებენ მუშაობას ალტერნატიული საკრებულოსა და საკონსულ-

ტაციო საბჭოს წევრთა რანგში.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელმა, დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ პროექტის მიმდინარეობასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა. პროექტის ავტორმა კახა ლლონტმა თავად პროექტის საჭიროება და თავისებურებები მიმოიხილა. ტრენერებმა გიორგი გირკელიძემ, ნინო ნიკოლაიშვილმა, დეპუტატებმა ლალი სიჭინავამ, როზუტა სკამკოჩაიშვილმა მონაწილე ბავშვების განსაკუთრებულ მონაცემებზე გააკეთეს კომენტარები. შემდეგ მონაწილე ბავშვებმა საკუთარი შეხედულებები გუნდურად ჩამოაყალიბეს და საუკეთესო პრეზენტაციებით დამსწრეთა აღფრთოვანებაც გამოიწვიეს. ბავშვთა აქტიურობამ ახალ იდეებს ჩაუყარა საფუძველი. მსგავსი პროექტი მომავალში თემების სკოლებშიც განხორციელდება. უკვე შეშინილი ახალ-

გაზრდული საკრებულო და გენდერული საბჭო კი ახალი პროექტებით მიმართავენ ადგილობრივ ხელისუფლებას, რომლებმაც თავიანთი მხარდაჭერა იქვე დაადასტურეს.

ფონდ „სოხუმის“ ჟურნალისტმა ლალი შენგელიამ და გურანდა გვანცელაძემ აღნიშნეს, რომ ოზურგეთის საკონსულტაციო საბჭო საუკეთესო და აქტიური გუნდია და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევს.

პროექტის მონაწილეებს მხარდაჭერა დაპირდნენ ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე, კულტურის, განათლებისა და გენდერის სამსახურის უფროსი მარინა ჯაფარიძე.

შორეული ნაოსნობის კაპიტანი ბივი კობალაძე

ასეთი ბუმბერაზი აღამიანების საფლავისა და ნაღვაჭის მოვლა სახელმწიფოს მოვალეობა და პრესტიჟია

გივი კობალაძე ის ზღვის კაცია, რომლის პირველი გემი ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სანაპიროზე მდებარე არხანგელსკის ნავსადგურიდან გაიჭრა დიდ წყალთა სამყაროს ლაფარდებისაკენ და თექვსმეტი წელიწადი „იგვირითა“ იქ, მაგრამ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შექმნისთანავე (1968 წ.), მიიღო გადაწყვეტილება, მხარში ამოღებოდა თავისი კოლეგას, ყინულოვანი კაპიტანის ანატოლი კაჭარავას, რომელიც სანაოსნოს უფროსად დაინიშნა

მისი შტურმანობით თუ კაპიტნობით მრავალ გემს დაუტოვებდა თავისი კვალი მუდამ მქუხარ ორმოციან განედებში, უკიდვანო ზღვების თვალუწვდენელ ტრამალებსა და მზინგარე აისბერგებით მოფარდებულ ყინულოვანი ოკეანეში.

სხვა ხომალდებზე მუშაობის პერიოდში გვერდზე რომ გადავლით, მან მხოლოდ ერთი გემი („საქართველოს 50 წლისთავი“), რომლის წყალწყვა 30 ათასი ტონა იყო, 24 წელი ამუშავა უფარიოდ. ამ გემითვე ასრულა სანუკვარი ოცნება: დედამიწის სფეროს შემოუარა, ოთხივე ოკეანის ვადოც იგება და გაუჟაკურად გადაიტანა ამ ურთულესი მარშრუტი ყველა სიძნელე-ზღვაოსნებიდან ერთეულებს თუ ღირსებათა მსგავსი რეისი.

შორეული ნაოსნობის კაპიტნის გივი კობალაძის ქება-დიდებას ბრძანებებს, საპატიო სივლებს და გრილობებს რა ჩამოთვლის. მის შესახებ იმდენია დაწერილი, ერთად რომ შეკრიბო, სქელტანინანი წიგნი ვერ დაიტევს. ამ წერილებისაგან განსხვავებით, წერილი, რომელსაც ახლა კითხულობთ გულსიტკვივლამ დაამწერინა... ბატონი გივი კობალაძის საფლავი სოფელ შემოქმედში გულსაკლავად გამოიყურება...

ბატონი გივი კობალაძის დედა, ქალბატონი ელენე შემოქმედელი, გორისფერდელი იორაშვილის ქალი იყო. ბავშვობაში და შემდეგაც, როცა გურიანთაში, ბატონი გივის მშობლიურ



სოფელში მათთან ვრჩებოდი, შევსწრებოვარ ალიონზე მუხლებზე და-ოქილ ქალბატონ ელენეს; ასე აღავლენდა ის ლოცვას მუხლგური შეილისათვის. ალბათ, დედის ლოცვა-ვედრება იყო ბატონი გივის იბლის ქარვამი ერთ-ერთი ძლიერი ოქროქსოვილი.

„ზღვის შვილი“ ხმელეთზე ისე გრძობდა თავს, როგორც თევზი... ნამდვილი ევროპელი იყო, გარეგნობითაც ძალიან ჰგავდა უცხოელს. განათლებული, სასიამოვნოდ მოსაუბრე, ზრდილი, თბილი და თავაზიანი ადამიანი გახლდათ. თავის გემზე ღმერთის ტოლი კაცი იყო, უფვარდათ და უდიდეს პატივს სცემდნენ. ეს მე 15 წლისამ ვიგრძინე და საკუთარი თვალით ვნახე.

მასსოვს, ბატონი გივის გემი „ლახტა“ 1967 თუ 1968 წელს ფოთის ნავსადგურში შემოვიდა, ჩავაკითხეთ ნათესავებმა, მან გაგვიწია გემზე ვიღობა, გემის სიგრძე 117 მეტრი იყო.

მე მინახავს ბუფეზე მისი თევზობა ბადით. რა ლამაზად, რა ზღაპრულად შლიდა ბაღეს წყლის ზედაპირზე!

ბატონ გივის წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ 20-25 დღით ეძლეოდა ოჯახისა და ახლობლების მონახულების საშუალება. იგი შვებულების ნაწილს შემოქმედში, სიმამრის ოჯახში ატარებდა. მისი ჩამოსვლა დღესასწაული იყო ყველასთვის, ჩვენთვის, სხვა ნათესავებისა და მეზობლებისთვის. ბაბუას ყოველ წელს ჰქონდა ქვევრი განსაკუთრებული ღვინით, რომელსაც ბატონი გივის ჩამოსვლისას გასწიდა ხოლმე. ბუბას ეხმარებოდნენ მეზობლები, იყო აულებელი სუფრები, მხიარულება და საინტერესო ამბების მოყოლა ზღვისა და ოკეანის გაღმელების შესახებ.

სანათესაოს და სამეგობროს იგი ევროპული საჩუქრებით ანებივრებდა. სულგრძელი ადამიანი იყო, უკანასკნელ პერანგს გაიხდიდა და გაჩუქებდა. მუდამ გასცემდა და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა.

ხმელეთის ცხოვრებას და მის აუანჩავანს ისე იყო დაშორებული, როგორც ცა – დედამიწას. ერთხელ ერთხელსადაც, ქალბატონ დარეჯანთან ერთად, ტაქსით დასაფლავებაზე მოუხდა წასვლა. ადგილზე რომ მივიდნენ, ტაქსის ფული ცოლისდამ გადაიხდა, მას ფული „არ სჭირდება“ და არც აღმოაჩნდა, ძალიან შეწუხდა თურმე. შემდეგაც დიდხანს ყვებოდა და ბიდიშობდა ამის შესახებ.

გემით რომელიმე პორტში შესულს, იქაური სანაოსნოს ხელმძღვანელობა,

მერი ან გუბერნატორი თუ მიიწვევდა, ასეთ შეხვედრებზე მიდიოდა. თვითონ არაფერს ყიდულობდა, სხვებს ატანდა ფულს და ბეგრ რაიმეს ხშირად ჩუქნიდნენ კიდევაც.

ბატონი ანატოლი კაჭარავა და ბატონი გივი კობალაძე 1953 წლიდან იცნობდნენ ერთმანეთს და მალევე დამეგობრდნენ ოჯახებით. ბატონ ანატოლის მეუღლე რუსი ჰყავდა. იმ დროს არ იყო არც რესტორნების და არც რესტორანში მზივარაფეროვნება. იყო ე. წ. „მედიცინის საბჭოთა მენიუ“. ბატონი გივის მეუღლე ქალბატონი თამარ ჭანუყვაძე უბადლო მზარეული და გურული კერძების დიდი „მესიდიუმე“ გახლდათ. როცა ბატონ ანატოლის საზღვაო სანაოსნოში უცხოელი და ძალიან პატივსაცემი სტუმრები ეწვეოდნენ, იგი ქალბატონ თამარს თხოვდა, მათთვის კერძების დამზადებას და ბატონი გივის ოჯახში მიჰყავდა სტუმრები.

ასე რომ, პოსეიდონის სამფლობელოს საპატიო სტუმრებს ძალიან ხშირად ქალბატონი თამარ ჭანუყვაძე მასპინძლობდა, გეას სამფლობელოს საპატიო სტუმრებს კი – ბატონი ბებურა ჭანუყვაძის ოჯახი.

მასსოვს, მე და მამაჩემი ბათუმში წავიდით სტუმრად მამიდასთან. და-მამ ერთმანეთი მოიკითხეს. შემოქმედში ვიღაც გარდაცვლილი იყო. შეწუხებულმა მამამ უთხრა მამაჩემს: მაინც და მაინც მაგ დასაფლავების დღეს დაემთხვა სანაოსნოში სტუმრების ჩამოსვლა, ანატოლიმ სუფრის გამზადება მოხოვა და უარი უნდა ეუთხრაო. მე მოგხდი ბიდიშს მაგ ტირილში, გასივლეს, რომ შენ ასეთ შემთხვევაში მარტო სანაოსნოს კი არა, ქვეყნის მასპინძელი ხარო, – დარჩენა თხოვა მამაჩემმა.

თუ არ ვცდები, 1980-1985 წლებში ბატონ გივის ისეთი ხშირი რეისები ჰქონდა კუბაში, რომ მას მეგობრებმა ხუმრობით კუბადაც შეარქვეს. იქ ხშირად ხვდებოდა მივლინებაში მყოფ, წარმოშობით შემოქმედელ, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის (სოხუმი) პრორექტორს, ბატონ ოსებ მარშანას, რომელიც კუბაში ოჯახთან და მეუღლესთან, ქალბატონ ნარეიზი გელაშვილთან ერთად იმყოფებოდა. ბატონი გივი და ბატონი ოსები ახალგაზრდობიდან, შემოქმედიდან იცნობდნენ ერთმანეთს.

თავისი როული პროფესიიდან გამომდინარე, ვერ იცლიდა პირადი ცხოვრებისათვის, შეიძლება ითქვას, რომ პირადი ცხოვრება არც ჰქონია. რამდენ-



ვერ ყოფილა შემთხვევა, თითქოს მიელი თვით ჩამოსულს ორ კვირაში მოსვლია დეკემბა საზღვაო სანაოსნო ადმინისტრაციაში გამოცხადებისა. ეს რასაც ნიშნავდა, იცოდა ოჯახმა. უმცროსი ქალიშვილი ამის გამო ისტერიაშიც კი ჩავარდნილა ტირილისგან...

ბოლოს რომ ვნახე, თავის თავს არ ნაღვლობდა, სხვებს რომ ვერ ეხმარებოდა, იმაზე წუხდა ახალგაზრდებს ვერაფერს ვიკეთებო.

უმუშევრობამ, რომელიც უსახსრობით იყო გამოწვეული, შეიწირა კაპიტანი გივი კობალაძის სიცოცხლე. ასაკის გამო, მას სიცოცხლის დაზღვევის თანხას, 20 ათას დოლარს თხოვდნენ და მანვე უპრობლემოდ დაიწვევდა ისევ მუშაობას, მაგრამ სად იყო 20 ათას დოლარი?! დასანანია, რომ მეშუაგების გარეშე წავიდა ამქვეყნიდან და წაიღო „ზღვა მასალა“ მეზღვაურის ურთულესი და საინტერესო ცხოვრებისა.

ბატონი გივი კობალაძის ოჯახს რომ დარჩა, ისეთი ბინა და ქონება გემზე დამლაგებლად მომუშავეებსაც ეწებათ, ეს მაშინ, როდესაც ის იყო სახელმწიფო სახელმწიფოსაგან კარტ-ბლანში ჰქონდა ათეული წლების განმავლობაში. მისი საფლავი და მისი ნაღვაჭი მოვლილი რომ იყოს, ეს სახელმწიფოს მოვალეობაცა და პრესტიჟიც არის.

ქვეყნის უკულმა ტრიალმა ასეთი ადამიანების ბედიც ისე დაატრიალა, რომ მათ საკადრისი დატრებაც და საფლავ-

იც არ აღირსა... კაპიტანი გივი კობალაძე და თამარი ანდრეისაძე შემოქმედში არიან დასაფლავებულნი. ვერ თამარი გარდაიცვალა. ბატონმა გივიმ ბათუმთან ჩამოიტანა საფლავზე შემოსავლებად ჯაჭვები და ლუზა. ისეთი პერიოდი იყო, იმ დღესვე მოიპარავენ. ამიტომ არ ურჩიეს ნათესავებმა გაკეთება. იძულებული გახდა, უკან წაეღო. სამწუხაროდ, მერე ოჯახს ისე გაუჭირდა, ისიც კი გაყიდა. დღეს გულსაკლავად გამოიყურება კაპიტნის უსახულო საფლავი... შეილებს არა აქვთ არანაირი საშუალება.

ეკ, ვინ იცის, იქნებ ცოცხლებს უფრო სჭირდებოდა ასეთი ბუმბერაზი ადამიანისთვის პატივის მიგება... ის დიდი სამშულო და აფხაზეთის ომების ვეტერანიც არის (აფხაზეთის ომის დროს გადმოჰყავდა ლტოლვილები და მოსახლეობას საწვავით ამარაგებდა).

იქნებ ოზურგეთისა და ბათუმის თავკაცებმა იფიქრონ ამ პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტა, იქნებ საზოგადოებამაც, მოქალაქეებმაც მიიღონ ამაში მონაწილეობა.

იქნებ ბათუმის მერს, ბატონ გიორგი ერმაკოვს ამ „ლუზაზე მყოცნებე“ „ზღვის მგელად“ წოდებული კაპიტნისთვის „ოქროს ლუზაც“ კი გაეხსნა საზღვაო სანაოსნოს ან საზღვაო სასწავლებლის წინ. ბატონები ანატოლი კაჭარავა და გივი კობალაძე ამის ნამდვილად იმსახურებენ.

ნანი ჭანუყვაძე.

პერსონალის მოყვარე ფირალი დათულია

ენვერ გომეზაძე

„მიქლაიშვილი, მთავრობა მღვს და მექანის, გიჟივით შემხთენ, სროლაში ვაჯობე, მტერებს ვაჭამე სირცხვილი“.

ხალხური.

ალიარებული ფირალის „გურიის ქარიშხლის“ „გავარდნილთა“ შორის სწორუპოვარის, სისონა დარჩიას ბურუსით მოცული სიკვდილის შემდეგ, საფირალი მოძრაობის ასპარეზზე „ბურთი და მოედანი“ სოფელ მელექედურის მკვიდრს დათულია როსტომის ძე მიქლაიშვილს დარჩა. ხალხი აქებდა და აღიღებდა „სოტბას ასხამდა“ და „გუნდრუკს უკმევდა“ დათულიას, რადგან მისგან მომდინარე „შიში შეიქმდა“ მის მიმართ სიყვარულს. „დათულია“ - როგორც ხალხური გადმოცემა გვაუწყებს, სისონაზე უწინ იყო გაჭირვებული ფირალი. მშვენიერად ხელეწიფებდა მარცვა და გზაზე „შხარად“ დახვდომა, მაგრამ იმხანად უფრო მარდი და კისკასი სისონა ჩრდილავდა მის საფირალი მოღვაწეობას და პირველობის ელფერს უკარავდა თავზე ხელაღებულ დათულიას. რა უჭირდა ისეთი გადაულახავი დათულიას, ფირალია რომ არჩია მშვიდობიან ცხოვრებას, ამის კონკრეტული მიზეზები ჩვენთვის უცნობია. წოდებით აზნაური იყო, ეკონომიკურ-ყოფითი თვალსაზრისით, აზნაური მიქლაიშვილი „ბოლო დრო-ყამის გურიელებს“, ნაკამიძეებს, ერისთავებს, გუგუნიძეებს, თავდგირიძეებს, მაჭუტაძეებს, მართალია გაცილებით ჩამორჩებოდა, მაგრამ გარკვეულ წილად მაინც წინ იდგა თავისი შესაძლებლობით სოფელ მელექედურის გლეხობაზე. აზნაური თავისუფალი იყო იმ საუბრაოდმიწარმოებელი თუ საეკლესიო გადასახადისაგან, რასაც გვერდს ვერ აუვლიდა გურიის გლეხობა. მიუხედავად აღნიშნულისა, დათულია მაინც „გავარდა ფირალად“, რადგან ფირალად არა ყოველი გლეხი თუ ხელმოცარული აზნაური, არამედ მხოლოდ განსაკუთრებით დაუდგომელი, ქედფიცხელნი და ამბოხი სულით ქველდრეკლნი გადიოდნენ. დათულია ერთ-ერთი მათგანი და რჩეულთაგანი იყო, ვისაც ემარჯვებოდა და ეხერხებოდა ბერდენას მარჯვედ ხმარება, და რომელმაც რა იყო შიში, ფაქტიურად ამის შესახებ არაფერი უწყობდა. დათულიას გაფირალების მიზეზი მის „ბუნებაში“ გაცილებით მყარად იჯდა, ვიდრე „სოციალურ გარემოებასა და

ლუხვობაში“. მარცვა გლეჯის მოყვარული იყო მიქლაიშვილი, გურულ ფირალთაგან, ამდენი ფული დათულიამ რომ იშოვნა იშვიათად უშოვნია ვისმე. ძირითადად ვაჭრებს ემტერებოდა, როგორც „დანაშაულებებით აღსავსე“ წოდებას, რომლებიც მისი აზრით, ამქვეყნად მხოლოდ იმიტომ არსებობდნენ რომ დათულიას და მისფერ ვაჭარდნილებს ეძარცვათ. ფათერაკების მძიებელი სოფელს ჩამოშორდა და ქობულეთისაკენ აიღო გეზი. რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა „დაბალი“ რანგის თანამდებობაზე - შავ მუშად. დამწყები რკინიგზელი იყო და „ბრიგადირად ვინ დანიშნავდა. ვერ გაუძლო „რკინიგზელი შავი მუშის“ არტახებს, „ბუნტში“ გაერია, პოლიციამ ძებნა დაუწყო და ბოლოს ქალაქ ბათუმში შეიმწყვდია. დააპატიმრეს მიქლაიშვილი. მომავალი „სული“ და მისი განაჩენი კარგს არაფერს უქადა. საარაკო სიმარჯვით გაუსხლტა მცველებს და უსიერ ტყეთა ტყვეს მისცა თავი. ადმინისტრაციამ მშვენიერად უწყობდა ფირალბთან დენის სირთულე. და დათულიას შემორიგება სცადა, შეურიგდა კიდევ დათულიას და ადმინისტრაციას შორის „დროებითი ზავი“ დაიდო. ზავი ისევ დათულიამ დაარღვია. მსხვილი საფინანსო ოპერაცია წამოიწყო, რომლის მსგავსი თვით სისონა დარჩიასაც კი ძნელად წარმოედგინა: „სიმდიდრე მოსწყურდა“ და რა უნდა ექნა. სანამდე უნდა ყოფილიყო ჩრდილში მიმდგრებული. 1892 წელს ქალქ ზესტაფონში ჩავიდა ინკოვნიტორ. ოპერაციის გეგმა „საზირად ჰქონდა“ საგულდაგულოდ მოფიქრებული და შედგენილი. ადგილობრივ „გავარდნილებს“ ძმებს კახიძეებს დაუკავშირდა, მიზანში ღვთის მსახური იქნა ამოღებული. ტამარში შეუვარდნენ მლოცვარე მამოს და 8000 მანეთი წართვეს. ამ სატანური ქმედებით გაოგნებული ხუცესი უფალს მადლობას სწირავდა ნადრევედ რომ არ გაიხმეს ამა ქვეყნიდან გზას აცდენილმა ბორტომზრახველებმა. ქალაქ ზესტაფონის სასულიერო ცხოვრებაში მსგავსი რამ მანამდე არ უწყობდა. მიქლაიშვილი პირველად იწერდა და ეკლესიის მსახურთ მარცვადა. „მარქსისტულმა ლიტერატურამ“ მას „არსენას ტიპის ყაჩაღი უწოდა“. ვაჭრებსა და მღვდლებს ვერც ერთი იტანდა და ვერც მორე. ეს იყო მათი საერთო თვისება. ოზურგეთის მახრის უფროსი დადემ-

ქლიანი „ზემსკაია სტრაჟა“ თანხლებით დღეღამად დაეძებდა „გავარდნილ დათულიას“. ბოლოს სოფელ ბაილეთში „დაჩხეს დათაიე“. აღნიშნულის შესახებ „ივერია“ იუწყებოდა; „გწერით დაწვრილებით ავაზაკების მოკვლის ამბავს... 13 ივნისს, ღამით, პოლიციის ბოქალური ვამლომიძე და რამდენიმე დარაჯი გაგზავნილი იქნენ ბაილეთს... ორი ავაზაკი, ამაღობელი და სალუქვაძე მოკლულ იქნენ. ერთი ახლობელი იმათი შეიპყრეს, ხოლო ბელადმა მიქლაიშვილმა გაიტაცა სალუქვაძის თოფი და თავი დააღწია ხიფათს“. ხიფათს თავდაღწეული მიქლაიშვილი კიდევ უფრო სახიფათო გაუხდა ხელისუფლებას, მისგან მოსვენება სანატრელი შეიქმნა, ზესტაფონელი ღვთის მსახურის დაყაჩაღების შემდეგ ვერი ოზურგეთელ „სოფლაგრებზე“ მიდგა“. ოზურგეთიდან ნატანებისაკენ მიმავალ ფაიტონს გადაუდგა ნატანების ხიდან. ცეცხლს აკვესებდა თვალთაგან. „თხემიდან ტერფამდე“ იარაღში იყო ჩაძვარი. მეორე კაცი ახლდა მასავით გავარდნილი, ცხოველი, თოფ-შეიარაღებული. ფაიტონში ვაჭრებთან ხოსენა მახარაძესთან და მოსე ურუშაძესთან ერთად, ოზურგეთის ბოქალური ვამლომიძეც ეგულებოდა. „ამფერი დანოსი ქონდა მიტანილი“, სამთავე მათგანი ჭირით ეჯავრებოდა, მაგრამ ვამლომიძისაგან განსხვავებით „მორჩილ“ და „ნებით დამყოლ“ ვაჭრებს „სასიკვდილოდ“ არ იმეტებდა-მერე ხომ უნდა ერთმანეთს დათოვინა“. ბოქალ ვამლომიძეს ფორტუნა სწყალობდა. იმხანად ფაიტონში არ აღმოჩნდა. ვაჭარმა ურუშაძემ დროზე „უგანა“ ძირითად თანხას, მისი გადასაღება მოასწრო. დათულიამ 100 მანეთი „უნახა“ ვიბეში, მისი ნაბადიც ხელს გააყოლა, „ტყეში სათრევად“ გამომადგებო. ხოსენა მახარაძეს „სამასი მანეთი ააღლიტა“, მისი ვერცხლის ქამარი და საათიც დაისაკურთა. წერილი ჰქონდა გასაზიარებული, მახრის უფროსს ვირუბოვს უთვლიდა: „დატოვე ოზურგეთი თუ სიცოცხლე არ მოგტულებიაო“. მაგამ წერილიც ხოსენას გაატანა ვირუბოვისა გადასაცემად. „ივერია“- დასცემა ოზურგეთიდან მიავალ დილიჯანს, და გაუძარცვავს მგზავნი, მიქლაიშვილს უთქვამს დილიჯანში მსხლმ მგზავრებზე: „მე ხომ მიცნობთ, მიქლაიშვილი ვარ, ფული მჭირია... თქვენი ნებით მომეცითო, 600 მანეთამდე მოუგროვებია და წაუღია“.

ხოსენა მახარაძისა და მოსე ურუშაძის გაძარცვის შემდეგ დაბა ჩოხატაურში მხოვრები „დიდვაჭარი“ ნასიკო ცინცაძე ამოიღო მიზანში. „ფული ჩეჩქით ეყარა ნასიკოს“. შუალაშით მიადგა კარზე. ფირალბმა ბერდენები ააგრიალეს. გულგანეთქალი ვაჭრები და „მშვიდობიანი მოსახლეობა, მეფურეები“ და მისთანნი ერთ ფარალალა ფიცრულში შელალეს და შეამწყვდიეს. ძველი „შინელი“ ეცვა. ტყეებით „გაჭანდრული“ ღენტები მონათებდა „შინელს“ შინიდან. არამცთუ თვალის გასწორება, მისი შეხედვა შეამინებდა კაცს. პირველად ბაზრის ყარაულს ელიზბარა გოგოლაძეს მისწვდა და დასარჩობად შეათრია ღუქანში. ხუთი კაცი ახლდა. ხუთივე მასავით იარაღში იყო ჩაძვარი. მარტო ზარბაზანი აკლდათ. განსაკურებით მისი თანაგუნდელი ბოლქვაძე აქტიურობდა. „წინ და უკან იარებოდა თოფის სროლით, რითაც დასაყაჩაღებულთა შორის შიშსა და „ზაფრას“ აძლიერებდა. დამწყვეტულს კიდევ მეორე ფირალი ედგა დარაჯად. იმის შემხვედრად, თუნდაც უთოფოდ ყოფილიყო, გატყვევას ვინ გაბედავდა. ბაზარს მისი ყარაული ყავდა. ვარდენა ცინცაძე, იგი გამოჩნდა დათულიეს ამხანაგებს ყურადღებოდან. ვარდენამ ისარგებლა მათი უყურადღებობით, მოხერხებულ ადგილას ჩასაფრდა და იქედან ბერდენას ტყვია დაუშინა „წინ და უკან თოფის სროლით მოსიარულე ბოლქვაძეს და უსულოდ გააგორა“ დათულიას წარბი არ შეუხრია ბოლქვაძის სიკვდილიზა. ნასიკო ცინცაძის ფული ახლა ხუთის ნაცვლად ოთხზე უნდა გაყოფილიყო. 800 მანეთი აართვეს ნასიკოს სიცოცხლის შენარჩუნებით. ერთი საათი გავიდა ნასიკოს დაყაჩაღებიდან. მიქლაიშვილი ქარის უსწრაფესად გაფრინდა შემთხვევის ადგილიდან. ერთი საათის შემდეგ შემთხვევის ადგილზე „გაქაფული ცხენი“ მოავლო ბოქალმა გედევანა ჟღენტმა. მკვდარი ბოლქვაძის გარდა ვერავინ მოხელთა, მაინც კმაყოფილი იყო. მიქლაიშვილთან შეტაკებას თავი აარიდა, ამით ცოცხალი გადარჩა. დათულია მიქლაიშვილი „ღვთისგან გარისხული“ გამოდგა. ძირითად მოქმედებ მღვდელი, ეკლესია და ვაჭარი გაიხდა. გროშს არ არჩენდა მათ. ასე მოინათლა იგი „არსენას ტიპის ყაჩაღად“, იმ არსენას, რომელმაც კუმისის გზაზე სიყვარულით და სიამტკბილობით მიმავალ სიძე-სიდე-

დრს ტყვიდან გამოუვარდა, „საბრალი სიდედრი“ ცხვირწინ ცხენიდან ჩამოუგდო მშვენიერ სიძეს, მათი კუთვნილი „ლურჯა“ და ხორაგულ-ტიკჭორით სავესე ხურჯინი უცერემონიოდ დაისაკურთა, მარტოდ-მარტომ თემ-შარაზე სხვისი ნაძარცვი სანოვავით „სუფრა“ გაშალა და გიორგი კუჭატელიც ზედ დაიპატიჟა, თუმცა ამოდ. არსენა „ურბეს და ვაჭრებს ემტერებოდა, მაგრამ „პირველსაც“ იწერდა და „მირიანი არასოდეს შეუბლაღავს. მიქლაიშვილისათვის სულერთი იყო მღვდელი და ვაჭარი. მთავარი მისთვის ფული იყო. ზესტაფონის 8000 ანი ოპერაციაც ამას ცხადად ადასტურებს. ნასიკო ცინცაძის დაყაჩაღებისა და ჩოხატაურში დათულიას მიერ ჩადენილი მარცვა-გლეჯის შესახებ „ივერია“ იუწყებოდა: ჩვენ, ჩოხატაურლებს, აგვისტოს 29-ს ფირალბები გვესტუმრა მიქლაიშვილის თაოსნობით ექვს კაცამდე. ერთი ღამის მოდარაჯე დატყობით, ებრძანებოდა: „ცინცაძის ღუქანში მიგვიყვანეო“, (ამ კაცს) ცინცაძის ღუქანში მიგვეყვანა ავაზაკები, რომლებმაც ღუქანი გაძარცვეს, ფულად 800 მანეთამდე წაიღოთ. აგრეთვე ვექსილები და სხვა ძვირფასი ნივთები 1000 მანეთად ღირებული. ერთმა ღამის მოდარაჯეთაგანმა ვ. ცინცაძემ ფირალბის ერთი მახლობელთაგანი მოკლა-როცა საქმე მიწმარდა და მტირალთ თვალთ ნაკადული შესწყვდათ, ბოქალეც მობრძანდა თავისი სტრაჟით“. ჩოხატაურის ოპერაციის შემდეგ გურიის სოფლებს, სადაც კი დათულიას კვალი დალანდეს, გაძლიერებული ეგზეკუცია ჩაუყენეს. მიზანში მისი სამკვიდრო სოფელი-მელქელური ამოიღეს. ხალხი დათულიას შიშით ბაგეს ვერ სძრავდა. სიკვდილს მღვდარება ერჩიათ. გლეხობა ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილი იტანდა „იომერტას“ - ანუ საოცარი ღემილის პოლიტიკას. წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილი სახეზე ჰქონდათ. დათულიეს მოხელთება და შეპყრობა მელქელურის მამასახლისად ახლად დანიშნულ წერეთელს მიანდო. წერეთელი მკვიდრად ჩაჯდა მელქელურში თავისი სტრაჟით. „წერეთელი ფასიანი სტარმინა იყო. სოფელს წელიწადში მისთვის 1000 მანეთი უნდა ექლია

(გაგრძელება იქნება)

აგზვენება სოფელს საზოგადოებას

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სოფელ ვაკიჯვარს, ჩვენს საზოგადოებას გამოაკლდა ღირსეული კაცი, სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, სწავლული ზოოტექნიკოსი, ბატონი ჯემალ ბოლქვაძე. იგი 1947 წელს დაიბადა ცნობილი ექიმის, შრომითა და სტუმართმოყვარეობით განთქმულ, ბატონ მიხეილ ბოლქვაძის ოჯახში. „არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია!“ - დიდი ილიას ეს სიტყვები მთლიანად ესადაგება ჯემალ ბოლქვაძის პიროვნებას. მასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა და საიმამით მინდა აღვნიშნო, რომ იგი საკუთარი, სითბოთი გამორჩეული ადამიანი იყო, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა სოფელს საზოგადოებას. ბავშვობიდანვე განსაკუთრებულ ინტერესს

ინიშნავდა მეცხოველეობის დარგისადმი და წარმატებითაც ჩააბარა მისაღები გამოცდები საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 30 წლისა და მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა ვაკიჯვარის კოლმეურნეობაში ჯერ მთავარ ზოოტექნიკოსად, ხოლო შემდეგ - საკალმახე მეურნეობის დირექტორის მოადგილედ. მიუხედავად იმისა, რომ ზოოტექნიკოსი იყო, საფუძვლიანად იცოდა საქართველოს ისტორია, ქართველი ერის გმირული წარსული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბატონი ჯემალის ჭირსა და ღვინში იყო გამოჩრეული თამადა, მისი ადამიანური ღირსება იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ჰქონდა დიდი უნარი სტუმართა მიღებისა, ყოველთვის ცდილობდა მათთვის ისეთი პირობების

შექმნას, რომ ისინი დიდხანს დარჩენილიყვნენ მასთან ოჯახში. ღირსეული ოჯახი დატოვა ბატონმა ჯემალმა, მას გვერდში ედგა მეუღლე, სითბოთი, სიკეთით გამორჩეული ქალბატონი თამარი, სოფლის ნამდვილი კოლორიტი, რომელიც სოფელში შემნახველი საღაროს გამგე-კონტროლიორად მუშაობდა. შვილებითაც ამაყოფდა. უფროსმა შვილმა მიხეილმა ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და სპეციალობით მუშაობს თბილისში. მისი მეუღლე ქალბატონი ხათუნა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის კურსდამთავრებულია და ექიმ-თერაპევტად მუშაობს თბილისის ერთ-ერთ სა-მედიცინო კლინიკაში. მათ ჰყავთ ორი შვილი, გოგონები, მეთერთმეტე კლასელი თამარი და მეო-

რეკლასელი ანა. ექიმია ბატონი ჯემალის უმცროსი ქალიშვილი ქეთინოც, რომელიც ცხოვრობს ბათუმში და მუშაობს იქვე ერთ-ერთ კლინიკაში. მისი მეუღლე ირაკლი მოდებაძე კი ეწვევა მცირე ბიზნესსაქმიანობას. ჰყავთ ერთი შვილი თორნიკე, ხელოვანი-მცეკვავე, მრავალი ჯილდოსა და პრიზის მფლობელი, რომელიც წარმატებით მოღვაწეობს ბათუმის მერიისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლებში. ბატონი ჯემალ ბოლქვაძე იყო ოჯახზე, სოფელზე მეგობრებზე,

სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება. მისი სიტყვა იყო დამაჯერებელი, იმედის მომცემი, გამსჭვალული უკეთესი ზვალინდელი დღის რწმენით, მაღალი ოპტიმიზმით. იგი იყო ერთგულები და სიყვარულისათვის დაბადებული, რის გამოც მართლაც ერთნაირად უყვარდა ყველას, დიდსა და პატარას, ვინც მას იცნობდა. ჯემალ ბოლქვაძე მართლაც რომ ამშვენებდა სოფელს, საზოგადოებას.

ამირან მაგულაიშვილი,
სწავლული აგრონომი,
ყურნალისტი.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძობს მაკვანეთის საჯარო სკოლის პედაგოგს, პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ქალბატონ ირინა მგელაძეს უსაყვარლესი მის, **ჯემალ ზალიბაიშვილის** გარდაცვალების გამო

კონკურსი „ზამთრის პერსინაჟი“

29 იანვარს 15 საათზე ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში შედგა გურიის რეგიონის სამხატვრო სკოლების ქალაქ ოზურგეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების მეოთხე გამოფენა-კონკურსი „ზამთრის ვერსინაჟი“. გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ ფავორიტ კონკურსანტებს საჩუქრები გადასცეს.

განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ქვედა ბაზვის საჯარო სკოლის მესამე კლასის მოსწავლემ მარიო ქორჩილაძემ თავისი უნიკალური შედეგით



სის მოსწავლემ მარიო ქორჩილაძემ თავისი უნიკალური შედეგით

ოზურგეთელი მოფარიაკავეების წარმატება

25 იანვარს ქ. ქუთაისში, ფარიკაობის დარბაზში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ლევან კირკიტაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ჩატარდა და მისი ფარიკაობაში. მასში ოზურგეთიდან 4 გოგონა და 3 ვაჟი მონაწილეობდა. ვაჟებში ტურნირის გამარჯვებული გახდა ოზურგეთელი ლუკა მეგრელიშვილი, მესამე ადგილი დაიკავა გელა მჟავიამ; გოგონებში მესამე ადგილის მოპოვება შეძლო



თამთა კვაჭანტირაძემ. **მალხაზ კვაჭაძე**, მწვრთნელი.

საერთო სარგებლობის გზებზე უპილოტო ავტომობილებს გაუშვებენ



გერმანიის ხელისუფლებამ დაასახელა ტრასები, რომელზეც ავტონომიურ ავტომობილებს გამოცდებიან.

ავტონომიური ავტომობილები ჩვენს ცხოვრებაში შემოდიან. ყველა უკვე შეეჩვია, მაგალითად, ავტომატური პარკირების სისტემას, რომლის საშუალებით შესაძლებელია უპილოტო ავტომობილების პარკირება. მალე ავტონომიური ავტომობილები გამოჩნდება იმ გზაზე, რომელზეც დადის ჩვეულებრივი საბოქალაქო მანქანები. საუბარია იმაზე, რომ გერმანიაში 9 ავტობანის მონაკვეთებზე, როგორც ტრანსპორტის სამინისტრო იუწყება, და სწორედ ამ გზაზე გამოცდიან სრულყოფილად ავტონომიურ ავტომობილებს.

იმისათვის, რომ „უპილოტოთა“ მოძრაობა შესაძლებელი გახდეს, მაგისტრალზე

დააყენებენ სპეციალურ სენსორებს და მრიცხველებს, რომლებიც აცნობებს ავტომობილებს აუცილებელ ინფორმაციას. რასაკვირველია, ტესტირებულ მანქანებში იქნებიან ცოცხალი ადამიანები, რომლებსაც შეძლებათ ჩაერთონ მანქანის მართვაში, თუ ყველაფერი ისე არ წავა, როგორც უნდა წავიდეს.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი ტესტური გზა უპილოტო ავტომობილებისათვის თანამედროვე ჩვეულებრივ ტრასაზე. ასეთივე სქემით იცდება ავტონომიური „გოლფოები“. უკვე შეიძლება ითქვას, რომ წინ გველოდება ძალიან საინტერესო მომავალი.


აქვე დავებნთ, რომ უპილოტო ავტომობილების საბოქალაქო ტრასებზე გაშვება დიდ ბრიტანეთშიც გადაწყვიტეს.

მისტერ ბინი თავისი სუპერკარი 12 მილიონ დოლარად შეაფასა

ბრიტანელმა კომიკოსმა როუენ ატკინსონმა, რომელიც უფრო ცნობილია, როგორც მისტერ ბინი, გადაწყვიტა გაეფლოს თავისი ჰიპერკარი McLaren f1 8 მილიონ ფუნტ სტერლინგად.

ეს ავტომობილი ატკინსონმა შეიძინა 1997 წელს 640 000 ფუნტად და ამ დროისათვის მისი გარბები შეადგენს სულ 41 000 მილს (65970 კმ). ასევე მანქანამ მოასწრო ორჯერ მომხდარიყო ავარიაში, პირველად 2009 წელს, როცა მისტერ ბინი ქალაქტარეთ გზატკეცილზე დაეწია Rover Metro-ს და დაზიანდა თავისი სუპერკარის წინა ნაწილი, რის გარემოებებზეც 100 000 ფუნტი დაჯდა. ორი წლის წინათ ატკინსონმა ვერ შეძლო მანქანის დამორჩილება სველ გზაზე და ხეს შესვლა, მიღო მხრის ტრავმა, ავტომობილი კი დაიწვა. დამზღვევების გადახდილი თანხა სარეკორდო აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთისათვის – 910 000 ფუნტი სტერლინგი, თუთ მანქანის აღდგენას რამდენიმე თვე დასჭირდა claken-ის ქარხანაში, უოკინგში.

პოტენციური მფრელებისთვის გასაოცარია არა ის, რომ სუპერკარი ორჯერ მოხდა ავარიაში, არამედ ფასიც. რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ მანქანა ეკუთვნის როუენ ატკინსონს აძლევს მას დამატებით ღირებულებას, მაგრამ McLaren f1 არც ისეთი იშვიათი მანქანაა, რომ მასში 12 მილიონი დოლარი მისცე. სულ გამოშვებულია საერთო სარგებლობის გზებისათვის გათვალისწინებული 64 ექსპლემარი და დღეისათვის მისი ფასი შეადგენს 3 მილიონიდან 10 მილიონ დოლარამდე, დამოკიდებულია კონკრეტულ ექსპლემარზე. მაგალითად, 2010 წელს კომპანია ორჯერ და მფრელებს ლარი ელისონმა შეძლო თავისი McLaren f1 3 575 000 დოლარად გაეყიდა, ხოლო ამერიკული ავტომობილის სერიალის ჩ ლთ-ის ჩემპიონმა მაიკლ ანდრეტომ თავისი სუპერკარი 10,5 მილიონ დოლარად გაყიდა. მაგრამ, ასეთი მაღალი



ფასი განპირობებული იყო იმით, რომ იაპონელ კოლექციონერს სურდა ეყიდა სახელდობრ ანდრეტის ავტომობილი.

თუთ როუენ ატკინსონი ავტომობილების ცნობილი კოლექციონერია და დღეისათვის მისი კოლექცია შეფასებულია 85 მილიონ ფუნტ სტერლინგად. მისტერ ბინის ავტოსავლეთში, ცლარენ ფ1-ის გარდა, არის ისეთი ავტომობილები, როგორიცაა bugatti veuron, Aston martin DB7, DBS, V8 Zagato, Morgan Aeromax, Mercedes-Benz 600 (W100), Audi A8, და Honda NSX.

აქვინსონი, რომ McLaren f1 გამოიღო 1992-1998 წლებში bugatti veuron-ის გამოჩენამდე და ითვლებოდა ყველაზე ძვირფას და სწრაფ სერიულ მანქანად მსოფლიოში. მანქანას აქვს 6,1 ლიტრანი, თორმეტცილინდრიანი BMW-ს ძრავა, 627 ცენის ძალის სიმძლავრით, მაქსიმალური სიჩქარე – 392 კმ/თ. ავტომობილის ფასი 90-იანი წლების შუა წლებში შეადგენდა 600 000 ფუნტ სტერლინგს.

ჯონი დეპი და ემბერ ჰერლი ტოკიოში გაემგზავრნენ



51 წლის ჯონი დეპისა და 28 წლის ემბერ ჰერლის რომანი უკვე რამდენიმე თვეა ყურნაღისტებია და თავგანისმცემების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. შეყვარებულების ნებისმიერი გამოჩენა პუბლიკის დიდ ინტერესს იწვევს. რამდენიმე დღის წინ წყვილი იაპონიაში ჩაფრინდა პრომოტურში დეპის ფილმის „მორდეკაის“ მხარდასაჭერად და ტოკიოს აეროპორტში ფანებისა და პაპარაცების „ლაშქარი“ შეიკრიბა ხელიხელჩაკიდებულები შეყვარებულები გამოიყურებოდნენ ბედნიერად. ამ ფონზე

დეპისა და ჰერლის საიდუმლო დაქორწინების ამბავი სავარაუდოა იმის გათვალისწინებით, რომ წყვილმა გამოთქვა სურვილი, ახალი წლის ღამეს შეუღლებულიყვნენ.

თავისი ფილმის „მორდეკაის“ პრეზენტაციაზე ჯონი დეპი არათითზე დაბნეული ოქროს ბეჭდით გამოჩნდა. ამის გამო ამერიკელ ყურნაღისტებმა გააგრძელეს ინფორმაცია, რომ წყვილმა უკვე მოასწრო დანიშნა. ოფიციალურად ეს ინფორმაცია ვერჯერობით არ დადასტურებულა, მაგრამ ყველა ჩვენგანისთვის ცნობილია, პოლიეუდის საიდუმლო ქორწინებები, ავიღოთ თუნდც პიტისა და ჯოლის ამბავი.

თუმცა, დეპის თითზე ბეჭედი სავსებით შესაძლებელია თამაში იყოს. ერთხელ მსახიობი უკვე გამოჩნდა ასე პუბლიკაში, უკრაინულ ქალთა გარემოცვაში. აღმოჩნდა, რომ მან ეს ბეჭედი თავისი შეყვარებულისათვის შეიძინა, მაგრამ ვერ გამოიცნო ზომა და სამკაული დაიტოვა თავისთვის. როგორც არ უნდა იყოს, ყურნაღისტები განაგრძობენ წყვილის თვალთვალს.

პრინცი ჰარი რუს გოგონას სვდება

ბრიტანული პრესის მონაცემებით, უელსის 30 წლის პრინცის ახალი შეყვარებული გახდა 23 წლის ანასტასია გუსევა წარმოშობით რუსი, გერმანელი მოდელი.

ახალგაზრდებმა ერთმანეთი შარშან გაიცნეს, თუმცა შეყვარებულები პირველად ერთად დაინახეს აბუ-დაბიში, დახურულ საღამოზე. როგორც გაზეთი თქვამს, სუნ წერს, სამეფო გვარის წევრმა აქ გაამხილა თავისი ნაზი გრძობები რუსული ფესვების ქერა ქალისადმი და და ყველანაირად ცდილობდა, შეზებოდა გოგონას, გადახვეოდა მას. მთელი საღამოს განმავლობაში წუთითაც არ დაეშვებინა, საღამო ჰარიმ და ანასტასიამ ერთად დატოვეს.

სხვათა შორის, უელსის პრინცის წინა მეგობარი ქალი კრესინდა ბონასიც ქერა იყო.



მიუხედავად იმისა, რომ ყველას ეგონა ეს რომანი ქორწილით დამთავრდებოდა, კრესინდა და ჰარი 2014 წლის აპრილში ერთმანეთს დასცილდნენ.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, +9+20 2 თებერვალი ორშაბათი	მზე, +6+17 3 თებერვალი სამშაბათი	წვიმა, +9+12 4 თებერვალი ოთხშაბათი	მზე, ღრუბლი, +9+16 5 თებერვალი ხუთშაბათი	მზე, ღრუბლი, +9+15 6 თებერვალი პარასკევი	მზე, ღრუბლი, +9+15 7 თებერვალი შაბათი	წვიმა, +4+11 8 თებერვალი კვირა
------------------------------------	-------------------------------------	---------------------------------------	---	---	--	-----------------------------------